ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7968950

ნომერი: AR11139772

თარიღი : 27.04.2026

გაცემის თარიღი : 19.06.2026

გაცნობის თარიღი : 23.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N95;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ჯანელიძე პ/ნ 53001021319
- საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, კორპუსი 13, ბინა 60

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოადგინეთ სამართალ დარღვევის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი ქ.თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციიდან.

2. შენობა ნაკვეთზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ სახურავიდან ჩამოსული ნალლექები არ მოხდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეზეთზე ასევე სახურავი დამთავრდეს საკადასტო საზღვრებში, საპროექტო შენობა ვინაიდან ინვენტარის დასაწყობებისთვის გამოსაყენებელი შენობა უნდა იყოს შეუსაბამეთ მისი ვიზუაალი ფუნქციურ დანიშნულებას და წარმოადგინეთ კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია.

3.სატრანსპორტო სქემა მასზე შენობის განთავსებით და საპროექტო შენობის განთავსება შეუსაბამეთ ერთმანეთს, წარმოადგინეთ არსებული დღევანდელი სიტუაციის ამსახველ ტოპო გეგმაზე დამუშავებული გენგეგმა, სადემონტაჟო და საპროქტო -არსებული შენობების და ხე ნარგავების დატანით.

4. წარმოდგენილ იქნას განთავსების სქემა ხე–ნარგავებამდე მინიმალური მანძილების დატანით.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.